რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლები ბ. კლუბის ქვემოთ.
ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".
„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., წვრილის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასოებით სტრიქონზე 8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

თეატრალური განცხადება

15 სეკტემბრიდამ დაიწყება ქართული თეატრალური სეზონი. უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ავტორებს და მთარგმნელებს, ვისაც კი მოეძებათ პიესები გამოგზავნონ 1 სეკტემბრამდის რადგან მთელი სეზონის რეპერტუარი გამოცხადებული უნდა იყოს წარმოდგენების დაწყებისათვისავე; ეს დაჩქარება მით უფრო საჭიროა, რომ 1 იანვრამდის 1883 წ. პიესების ცენზურაში გატარება შეიძლება აქვე, ტფილისში, მას შემდეგ კი უნდა გაიგზავნოს უმაღლეს მთავრობასთან, და ამისათვის რომ ეს დიდი დაბრკოლება, ქართულ თეატრის შესახებ, თავიდამ ავიცილოთ, ჩვენ კიდევ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ პიესები რაც შეიძლება ადრე გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба". Константину Семеновичу Месхи.**

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კი სურს ქართულ დრამატულ დასში დრო-გამოშვებით მონაწილეობის მიღება ან სურს შემოვიდეს სამუდამო მოთამაშედ, შეუძლიან ამავე ადრესსით მოგვმართოს პირობების შესატყობლად.

ძველ მოთამაშეთ ვაუწყებთ, ვისაც სურსთ, შეგვეკრან კონტრაკტით იმ პირობებზე და წესებზე, რომელნიც დამტკიცებულნი არიან ქართული დრამატული საზოგადოებისაგან, პირველ სეკტემბრამდის; რომელიც კი ამ ვადამდე არ შეგვეკვრება კონტრაქტით, შემდეგში აღარ იქნება მიღებული ქართულ დასში.

მოთამაშეთა სახელ-გვარი, რეპერტუარი, აბონიმენტი, წარმოდგენების დღენი და თვითონ თეატრი, თუ სად გაიმართება წარმოდგენები—გამოცხადდება 1 სეკტემბერს.

ქართული თეატრის საქმეთა გამგენი { გ. აბაშიძე. კ. მესხი.

ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 18 აგვისტოს. „ნოვოე ვრემიის" სიტყვით, კლევეკეამ ჩამოხდა 56 ალაგი კურსკის რკინის გზისა და 45 მათგან საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ათინა, 18 აგვისტოს. საბერძნეთ ოსმალეთის სამზღვრის სადავო ალაგებში მუდამ დღეობით შეტაკება სისხლის ღვრა ხდება ოსმალოსა და საბერძნეთის ჯარებს შორის.

კოროლი ელლინების (საბერძნეთის) საჩქაროდ ბრუნდება, თავის სახელმწიფოში მოიხმობს პალატა ჯარების შესაკრებად.

იოკიგამა, 18 აგვისტოს. იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც კორეის აჯანყებულებმა მიაყენეს იაპონიის საელჩოს, იაპონის მმართებლობა ითხოვს დაკმაყოფილებას.

ტფილისი, 19 აგვისტო.

მკითხველი წაიკითხავდა გუშინდელს ტელეგრამმას გორიდამ, რომელიც გვაცნობებს, რომ გორის ქალაქის რჩევამ (დუმამ) გარდასწყვიტაო შესწირონ ხაზინას სამი ათასი მანეთი რეალურ სასწავლებლის შესანახავად.

ჩვენ არ ვიცით ერთ წლიურია ეს შესაწირი გორელებისაგან, თუ ყოველ წლობით მიიღებენ ამ გარდასახადს თავის თავზედ.

როცა მთავარ-მმართებელი ბრძანდებოდა გორში იქაურ მცხოვრებლებმა მართვეს არზა, რომელშიაც მოახსენეს, რომ რეალურ სასწავლებლის გახსნა გორში შეადგენს აუცილებელს საჭიროებას. მართლაც, სახელმწიფო სასწავლებელნი, რომელნიც შეჯგუფულნი არიან ქალაქებში, ვერ ასრულებენ თავიანთ ნამდვილ მოვალეობას, ისინი ვერ აკმაყოფილებენ მცხოვრებლების უმეტესის ნაწილის საჭიროებას. ახლანდელი საშუალო სასწავლებლების სტატისტიკა აშკარად გვიჩვენებს, თუ რომელი ნაწილი ჩვენის ხალხისა იზრდება ამ სასწავლებლებში. ას ვაჭრის შვილზე, შეიძლება, ორი ან სამი სოფლის მცხოვრების შვილი იქმნეს. ასე რომ ჩვენ სასწავლებლებს, უნდა ვაღიაროთ, ჩვენის სოფლისათვის დიდი ღვაწლი არ მიუძღვის.

ჩვენ უკვე ვაღიარეთ და ეხლაც ვიმეორებთ კიდე, რომ სასწავლებლების შეგროვებას დიდს ქალაქებში არ შეუძლია იმოდენა სარგებლობა მიუტანოს ხალხს, რამოდენიც იმავე სასწავლებლების განფანტვას სხვა-და-სხვა კუთხეებში რომელიმე ქვეყნისა.

ესევე აზრი გამოვთქვით ჩვენ, როცა ხონის სემინარიის დაარსებაზედ ვლაპარაკობდით.

გორი შეადგენს მთელის საქართველოის შუაგულს, რომელსაც ემხრობა მთელი ქართლი და ზემო-იმერეთი. მაშასადამე ამ მხრითაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა გორში საშუალ სასწავლებლის გახსნას.

მართალია, შესაწირი, რომელიც მიუღია გორს თავის თავზედ, დიდი არ არის, მაგრამ, რა გაეწყობა, ღარიბ ქალაქს მეტი არ მოეთხოვება.

ალბად თითონ მთავარ მმართებელსაც ცხადად გაუგია გორელების საჭიროება, რომ ესე მსწრაფლად მოუხდენია ამ საგანზედ განკარგულება და დაუკმაყოფილებია მათი მოთხოვნილება.

იმედია, თუ ხაზინა კიდევ რასმე მოსთხოვს გორელებს, ისინი კიდევ დაუმტკიცებენ მმართებლობას, რომ თავის ბედნიერებისა და ხალხის განათლებისათვის არ დაიზარებენ უმძიმესის მსხვერპლის მოტანასაც, ოღონდ კი მათი სურვილი იქმნეს სისრულეში მოყვანილი ამ მოკლეს ხანში.

მიულოცავთ გორელებს, ვმადლობთ მთავრობას.

დღიური

მომავალის, **1883** წლიდამ, როგორც გაზ. **„Новости"** გვაუწყებს, ქუთაისის და ბაქოს საქალებო გიმნაზიებს მოესპობათ ის ორას ორასი

«დროების» ფელეტონი, 20 აგვისტ.

წადილი

წალკოტი მომცა ყვავილით სავსე
და მადრევანი, ტურფა, მდიდარი,
არ იყოს სიცხე, არცა სიცივე,
არც წვიმა, თოვლი, არც სცემდეს ქარი.

—

მივან ბეკლუცი, შუქ-მოიეფე
ხარობდეს ვითა ზაფხულის დარი
გულისა დარდის მეიავარე
ახლდეს წყობილი ინდოთა ჯარი.

—

აქა მონანი, ათასნი ყმანნი
მახლდნენ, მკერდ, სირმა კაბაიანნი,
კოლხიდის კრავნი, ოქროს თმიანნი,
ფერხილი და რქანი ფიროზიანნი.

—

აფხაზთა ქალნი, მორთულ ძვირფასნი,
მარად მცინარნი, ალმასიანნი
მოთამაშენნი, მოკამათენნი,
ენაწყლენი, კეთილ-ხმიანნი.

კოლხიდელი.

ფიქრი

წყალი დამაღრჩობს, ცეცხლი დამწვავს,
გზა დამღალავს და ტყვია გამხვრავს,
ჯოხი ზურგს მატკენს, ხმალი შუა გამჭრის,
ისარი მომკლავს, ქვა გამიტეხს თავს,
სიცხე ცივებას, სიცივე ვნებს.—
ნელ-ნელა წუთის სიცოცხლეს მპარავს
მატლიც ხომ შემჭამს, რას ვიდებ მე თავს
ღმერთო შეგცოდე,-დუმილი სჯობს თქმას.

კოლხიდელი.

გაიმარჯვა!

(მოთხრობა ალფონს დოდესი)

ორი დღეა, რაც ბრძოლა დაიწყო. მეომარნი დაქანცულნი არიან, რადგანაც მთლად შეიარაღებულნი იდგნენ თავსხმა წვიმაში და ძვლებამდის დასველდნენ. მაინც რაღასაც ელიან; თოფებზე დაყუდებულნი; სდგანან წვიმის გუბეებში შარა გზაზედ.

ძალ-მიხდილნი უძილობისგან, ძვლებამდინ სველნი, კანკალებენ ესენი და ეკვრიან ერთმანეთს, რომ ცოტათი მაინც გათბნენ და შეამაგრონ ერთმანეთი; ზოგს ამათგანს სძინავს მდგომიარეს, თავის ამხანაგზე მიყუდებულს. ამათ მიძინებულ სახეებს უფრო ცხოვლად ეტყობა ტანჯვა. წვიმა, ტალახი და სიბნელე სუფევს გარშემო; არც ცეცხლი, არც საზრდო, —გარშემო მტრის სიახლოვე, შიშს უგრძნობს კაცს გულში...

იქ რაღა ანბავი.?

ზარბაზნების პირი ტყისკენ არის გაშვერილი და რაღასაც უცდიან. შორიდან მოჩანან ტყვიის ყუთები.

სუყველაფერი მზად არის ბრძოლისთვის. მაშ რაღას ელიან, რატომ არ იწყებენ შეტაკებას?

მოელიან ბრძანებას მხედართ მთავრის ბინიდგან, და ეს ბრძანება კი არსად არის.

მთავრის ბინა აქ მოახლოებით არის—აი ამ მშვენიერ სასახლეში, რომლის წითელი აგურებიც გამოჩანან შეჯგუფულ ხეებ შუა.

ხევის მეორე პირზე, ქვითკირის კედლის იქით, რომელიც ჰყოფს სასახლეს და გზას, იწყობა პაწაწა მინდვრები, შემკული ყვავილებით. მეორე მხარეს, ხეებს შუა, მოჩანს ტბა, ბრწყინვალე, როგორც სარკე და ზედ წყნარად დაცურავენ ყარყატები. გარშემო სრული მყუდროებაა და არაფერი არ აუწყებს კაცს ომის სიახლოვეს. გაირალი მთავარ სარდალისა თითქო სუყველას სიფრთხილით და მყუდროებით აკმაყოფილებს. გასაოცარ სანახავს წარმოადგენს ბრძოლის ველის სიახლოვეთ ეს მდიდრული მყუდროება, შემდგარი ჩრდილოვანი ხეებით და დაკრიალებული ბაღის გზებით. თავსხმამ, რომელმაც ისე აატალახა და გუბეები დააყენა გზებზედ, აქ შემოიტანა რაღაც სიმშვენიერე: მან გარეცხა გამტვერიანებული წითელი აგურები, მწვანე ბალახი, მისცა სიპრწყინვე თურინჯის ხეების ფურცლებს და სისპეტაკე თეთრ ყარყატის ფრთებს. ყოველგან ბრწყინვალებაა, სუყველგან სიჩუმეა,—და რომ გაირალი არ ფრიალებდეს ამ სახლის ბანზედ და ორი მეომარი არ იდგეს სახლის კარებთან, ვერავინ ვერ

თუმანი, რომელიც ხაზინიდამ ეძლევა ამ სასწავლებლებს მუდამ წლობით.

* * *

ჩვენი გორელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ 16 ივლისს, როდესაც კავკასიის მთავარ-მმართებელი მობრძანდა გორში, გორელებმა სხვათა შორის სთხოვეს მის ბრწყინვალებს, რეალური სასწავლებელის დაარსება ქ. გორში. ეს თხოვნა დიდის სიამოვნებით მიღებულ იქმნა თავადისაგან და ამ დღეებში ბ. სემიონოვს საოსტატო სემინარიის დირექტორს მოუვიდა ცნობა კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველისაგან, თუ რა შემწეობა შეუძლიანთ აღმოუჩინონ გორელებს ამ საქმესაო. ეს ცნობა 17 ამ თვეს ქალაქის თავმა გამოუცხადა ხმოსნებს და თანაც თავისებურად, როგორც ყოველს ამ გვარ საქმეში, დაჰსძინა, რომ ამისათვის ძალიან დიდი ხარჯი მოგვინდება და საიდამ რა უნდა უშველოთო.

არ გვესმისო, ამბობს კორრესპონდენტი, რატომ ასე გვიძნელებს ეს დალოცვილი თავი ყოველთვის ხარჯს, როდესაც რამე საზოგადო კეთილის საქმისათვის არის საჭირო ეს ხარჯიო; რატომ მაშინ არა თქვა რა, ამ დალოცვილმა, როდესაც მას ჯამაგირს უმატებდნენო.

ერთის სიტყვით, თუმცა გრძელი და მჭევრმეტყველური სიტყვა ჩვენი ქალაქის თავისა იყო მიქცეული იმაზედ, რომ უარი ეთქვათ ჩვენს ხმოსნებს ყოველ გვარის ამ დიდ კეთილი საქმისათვის შემწეობაზედ, მაგრამ ხმოსნებმა მაინც დიდის სიამოვნებით გადასწყვიტეს ერთ-ხმად, რომ სამასი თუმანი შესწირონ ამ წმიდა საქმეს. ამითი რასაკვირველია შორს ვერ წავლენ გორელები, მაგრამ იმედი აქვსთ, რომ ამ მაზრის კეთილშობილებიც მიიღებენ მონაწილეობას, რადგანაც ეს სასწავლებელი თუ დაარსდა, საზოგადო იქნებაო.

გარდა ამისა იმედი აქვსთ, რომ, რაკი ამ ცოტას ხანში რკინის ხიდი გაკეთდება, ის ყოველ წლიური ხარჯი აღარ მოუნდებათ, რომელიც ხიდებზედ იხარჯებოდაო, ესეც ზედ წაემატება და, თუ ეს ინიცობაა, კიდევ გავიჭირდა ქალაქის მმართველობის ხარჯსაც შევამცირებთო.

* * *

კიდევ ახალი საჩივარი მოგვივიდა ქუთაისიდამა შაბათა ურიის გებიაზედ. ნეტავიო, იწერებიან, როგორც თქვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, შაბათს გებია მარჩიელი მართლა იერუსალიმში წასულიყოვო და აღარ წავიდესო. სოფლის ხალხს აფარებელ ფულებს ართმევსო და არც არაფერს არავის მისი მარჩიელ-ექიმობა არა რგებსო, რასაკვირველია. ყოველ გვარ ავად-მყოფს ერთსა და იმავე წამალს ასმევსო. იმედი გვიქნება, რომ ოდესმე მაინც მიაქცევენ ვისიც ჯერ არს ამ გარემოებას ყურადღებასაო...

* * *

გუშინ გაიხსნა სომხეთ—სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრება.

* * *

ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ბ. ვ. ბაბიჩევიძისაგან შედგენილი ქართული დედანი, რომელიც უკვე მიუცია მას ლიტოგრაფიაში ქვაზედ ამოსაჭრელად. ჯერ ამ დედანზე არაფერი არ გვეთქმის, რადგან დაბეჭდილი არ არის. მხოლოდ ის კი შეგვიძლია წინ და წინვე ვსთქვათ, რომ თუ ლიტოგრაფიამ ასოები ისე ამოსჭრა, როგორც დაწერილია, ეს დედანი პედაგოგიურის და კალიგრაფიულის მხრით ბევრად უკეთესი იქნება დღემდი შედგენილ ქართულ დედანებზე.

სოფლის სამღვდელოება. *)

ჩვენთა წინაპართაგან გვაქვს დარჩენილი ერთი ანდაზა, ღირსი ყურადღებისა, რომელიც არის შემდგომი: „ჯერ მღვდელთა, მერმე მეფეთაო“. საიდგან არის ეს მოგონილი? ნუ თუ მართლა ძველს დროს მღვდლებს მეფეებზედ უმეტესი პატივი ჰქონდათ? მგონია, რომ მართალი უნდა იყოს; ამას ამტკიცებს წმიდა ეკკლესიაც, მაგალითებრ: პროსკომიდიაზედ, წირვის წინკვეთაზედ და დიდს მშვიდობიანზედ, პირველად იხსენიებს უწმინდეს სინოდს, მღვდელთა და შემდგომ ხელმწიფესა, აგრეთვე ამბიონის ლოცვაზედაც: „მღვდელთა, ხელმწიფესა ჩვენსა“. აქედგან ნათლად სჩანს, რომ მღვდელთა ძველს დროს დიდი პატივი ჰქონიათ, რომელსაც ამ დროებაში მოკლებულნი არიან.

მიზეზი ესრეთის მღვდელთა პატივის დაკარგვისა ბევრი რამაა და თუ დაწვრილებით სათითაოდ შევუდგეთ ამათ ახსნას მეტად გრძელი გამოვა ჩვენი საუბარი,—რაც შეიძლება მოკლედ აღმოვაჩენ ამის მიზეზს ისევ სამღვდელოებაში და არა სხვათა შორის.

ძალიან შევხვდებით იმისთანა მღვდელს, რომელიც თავის ვალდებულებას მტკიცედ ასრულებდეს და ყოველს თავიანთ მოთხოვნილების დროს დაუბრკოლებლად უსრულებდეს წესს. რატომ? იკითხავს ვინმე. იმიტომ რომ მღვდელი ხშირად შინ არ არის; აი, მოვიდნენ, დაუძახეს სნეულის საზიარებლად, აი მოიყვანეს ეკკლესიასთან დღეს [illegible], ანუ სნეული ბავშვი. [illegible] და კითხულობენ მღვდელს—ეუბნებიან: სამუშაოდაა წასული ვენახში, მინდორში, კალოზედ, სათიბში, სამკალში და სხ. და სხვ.; ეს ყველა ესრეა და მართალიც არის—მგონია ვერც ერთი მღვდელი ვერ იტყვის ამაზედ უარს; მაშ, არა თუ მღვდელს, რომლის თანამდებობაც არ ითხოვს არავითარსამე წესის გარდადებასა, არამედ სხვა წოდების კაცსაც, რომელიც ვერ აასრულებს თავის ვალდებულებას წესიერად აკლდება პატივი. გვეტყვიან, მღვდლებს მინდორში რა უნდათ, თავიანთ თანამდებობას მტკიცეთ უნდა ასრულებდნენო!

ამაზედაც მომისმინეთ.

ზემოდ მოგახსენეთ, რომ ვერც ერთს სოფლის მღვდელს ვერ ნახავთ მეთქი, რომ თავის ვალდებულებას მტკიცედ ასრულებდეს. ეს მართალია; მაგრამ ვერც იმისთანა მღვდელს იპოვნით, რომ ცხოვრებდეს და ზრდიდეს თავის შვილებს ერთის მხოლოდ თავის მღვდლობით და არა თავის ხელით, შრომით, მუშაობით, ხვნა-თესვით და სხვ. მაშასადამე მღვდლები მოკლებულნი არიან თავიანთ ვალდებულების მტკიცედ ასრულებას გარეთ მუშაობისა გამო. იტყვიან კიდევ:—მღვდლებს საკმაო ჯამაგირი აქვსთო, მაგრამ სიხარბისაგან შრომობენო. მართალია, საკმაო ჯამაგირი აქვსთ, მაგრამ იღებენ თუ არა ესეც გაიგეთ. არა, სიხარბისაგან კი არა, სიღარიბისა გამო შრომობენ.

მღვდლებს აქვსთ დაწესებულ სამრევლოთაგან მტკიცე დებულება, კოდი პური, რომელიც მართმადიდებელი მთავრობისაგან დაწესებულებით უნდა მიიღონ მათ სასოფლო პურის მაღაზიებიდგან, მაგრამ უქცირეს ნაწილსაც ვერ მიიღონ სრული კმაყოფილება? და ეს ადვილად დამტკიცდე-

*) ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით ამ სტატიის დამწერს ბ. ვისმეს, მაგ.:— ვითომ მღვდლები სიღარიბის მიზეზის გამო ვენახს თუ ყანას მუშაობით აკლდებოდეს თავის მოვალეობას, მაგრამ ვიქნდავთ რადგან ზოგი სხვა, ამ სტატიის მოსაზრებაც მოგვყავს, მაგ.: ფულად მცემა ყოველის გადასახადისა. ეს ნაცვლის მხრით მრევლსაც მოუხდება და მღვდელსაც.

მიხვდებოდა, რომ ეს სამეფო სახლი, იყო ბანაკი მხედართ მთავრისა. დამშვიდებულნი ლეკვენ ცხენები თივას თავლაში, შეურყევლად დადიან სამზარეულოსთან მოსამსახურენი; დიდ ეზოში რამდენიმე მებალე რაღაცაზედ შრომობენ.

პურის-საჭმელ ოთახში, რომლის გაღებული ფანჯრებიც გამოდიან მისავალ კარებზედ, სჩანს აულაგებელი სუფრა. ცარიელი ბოთლები, წაქცეული ჭიქები,—სუყველა ესენი ურიგოდ ჰყრიან ღვინით გაწუწულ სუფრაზედ. სჩანს, რომ სტუმრები ეს არის ეხლა ამდგარან სუფრიდგან.

მეორე ოთახიდგან მოისმის მხიარული სიცილი, მაღალი ლაპარაკი, მგორავი ბურთების რაკუნი და სტაქნების რაწკუნი. მარშალს ნებავს ბილიარდზედ ითამაშოს.—და აი ერთად ერთი მიზეზი, რისთვისაც ჯარი ამდენ ხანს უცდის ბრძანებას; და რადგანაც მარშალმა დაიწყო თავის თამაში, ქვეყანაზედ აღარაფერს შეუძლიან გააწყვეტინოს—თუნდ მთელი ცაც რომ ჩამოინგრეს.

ბილიარდი ერთად ერთი სისუსტეა ამ წარჩინებული მთავრისა. შეყურეთ,—ამ სტოლზე ეს ისეა დამყარებული, როგორადაც ბრძოლის ველზედ; ეს მოკაზმულია მუნდირით და გულზედ ვარსკვლავი აქვს გაკეთებული; ამის თვალები ბჭყვრიალებენ, ლოყები ანთებული აქვს კარგი სადილით, თამაშით და არყით. გარშემო ადიუტანტები ახვევიან; ესენი თაყვანისცემით შესცქერიან ამას, და ტაშის-კვრით აჯილდოვებენ ყოველ ამის ხელის განძრევას.

როდესაც მარშალი ხელოვნურად გააგორებს ბურთს, ესენი აღტაცებაში მოდიან; როდესაც მარშალი გაიშვერს ხელს სტაქნისკენ, ესენი ერთმანეთს ასწრობენ მოართვან საყვარელი სასმელი. ხმლები წკრიალებენ, მუნდირის ოქრომკედი ბრჭყვინავს; ყოველ მხრივ პატივცემის ღიმილია და მიწამდინ თავ-დაკვრა პირმოთნეობისა. მაღალი ზალა, გაღებული კარ-ფანჯრით მშვენიერ ბაღში, ამისთანა ბრწყინვალე ხალხით—კაცს აგონებს შემოდგომას კამპიენში.

აქ გვარ ფუფუნებაში ადვილად დასავიწყარია დასველებული მაზარები, რომლების პატრონებიც კანკალებენ დიდ შარა გზაზე, და კაცის თვალს წარმოუდგენენ შესაზარელ სურათს.

მოქიშპე მარშლისა გახლავთ კაპიტანი, მუატინისა, გაჭიმული მუნდირში, დახუჭუჭებული, როგორც კრავი და თეთრ ხელთათმანებით; ეს საუკეთესო მოთამაშეა ბილიარდზე და შეუძლიან გააფასოს ამ ბრძოლის ველზედ მთელი ქვეყნის მარშლები. მაგრამ ამან იცის, როგორ სიშორეზედაც უნდა იდგეს თავის უფროსთან; ეს ერიდება დამარცხებასაც და გამარჯვებასაც: ეს—როგორც იტყვიან,—აფიცერია, რომელიც მოიელ წინ წავა სამსახურში.

— ო, გაფთხილდით, ყმაწვილო კაცო! მარშალს თხუთმეტი აქვს და შენ მარტო ათი! მერე წაიყვანეთ თამაში ბოლომდინ, და გარწმუნებთ, მაგითი უფრო ჩქარა წახვალთ აღმატების გზაზედ სამსახურში, მინამ იმათი, რომ ეხლა იდგეთ თქვენი ჯარის წინ და თავსხმა წვიმას ქვეშ ასრულებდეთ თქვენ თანამდებობას და ასველებდეთ თქვენ ბრწყინვალე ექსელბანტებს.

მართლა, რომ გასაოცარი თამაშია! ბილიარდის ბურთები დარბიან, ეტაკებიან ერთმანეთს და გასაოცრად იხლიკნებიან. თამაში თან-და-თან უფრო ხურდება.

უცებ მოღრუბლული ცა განათლდა ზარბაზნის ცეცხლით და ფანჯრებში წკრიალი მოიღეს ამ ხმაურებაზედ. სუყველანი შეჰკრთნენ და ერთმანეთს შიშით გადახედეს.

ბედნიერია მარშალი! იმას არცა რა ესმის და არცა რას ხედავს: გადაწოლი ბილიარდზედ, ეს ემზადება, ჩაუკან დაახვევინოს თავის ბურთს, მოეცალოს მოპირდაპირეს—ამაში არის ამისი ღონე, ეს გძირია გასაოცარ უკუდგომაში!

მაგრამ აი კიდევ გაიელვა ტყვიამ, ერთი მას მოჰყვა მეორე, მესამე...

...მოსთხოვონ ამბარდნებს კვიტან-
...ები მღვდლებისაგან და ვაიგე-
...რამდენადაც დაუკმაყოფილებიათ
...ელლები.
...სოფლის მოხელეების ქცევა: მამა-
...ლისის, მისი კანდიდატის, სუდიების,
...კანდიდატების, გზირების, მწე-
...ის, ამბარდნების, უმეტესად ამცი-
...მღვდელთა ანიშვნელობას.
...ამა, ეს შტატის დებულება შეს-
...ლენ ფულზედ და ხაზინიდგან
...დეს სამღვდელოებას, თუ მა-
...არ დაიბრუნონ თავიანთი პატი-
...თუ კარგად ვერ აასრულონ თა-
...თი თანამდებობა და მტკიცედ არ
...წაველონ თავიანთი მრევლნი. მხ-
...კი, ცოდო. გამოცხადებული სჯო-
... ოჯახის საქმეების გამო ვერა
...ლობენ მრევლისათვის.
...ამ შტატის დებულებაზედ ბევრჯელ
... მოწერილი ლუბეიონატორისაგან
...ის უფროსებზედ, რომ უნაკლუ-
...დ აუკრიფეთ ხოლმეო; უფროსე-
... მასახლისებს სასტიკს ბრძანე-
... სწერდნენ ამ საგანზედ, მაგრამ
...თის განკარგულებითაც არა ემ-
...თ რა სამღვდელოებას. შემდგომ
...ვიდათ მოწერილობა, მაზ. უფ-
...ებს, რომ მალაზიიდან ჩააბაროთ
...ლეო, მაგრამ როგორც ზემოდ
...ხსენეთ აქ უფრო ბევრი ნაკლუ-
...ებები აღმოჩნდა. მაზ. უფროსებ-
... გამოსცეს ათას ნაირი ინსტრუქ-
...ები, მაგალითებრ: უფროსები ბრძა-
...ებ, კომერალიის აღწერით უნდა
...იფოსო. სამღვდელოებამ რომ
...ზედ კმაყოფილება გამოაცხადა, რომ-
...ი კომლიც კომერალიაშია, იმდე-
... ჩავაბარონო, უფროსებმა მაშინ
...ეს თავიანთი შეცდომა და გამო-
...ეს სხვაგან წასულებს არ გამო-
...თ, არც მდაბალ კომლებ-
..., არამედ უნდა გამოერთოს შეძ-
...ულებაო, ასრე, რომ ნახევარმა
...ელომ არ უნდა გაიღოსო.
...ძიელ კარგი იქნება, კიდევ ვიმე-

ორებთ, რომ ეს შტატის დებულება, რომელზედაც ამდენი დავი-დარაბა და უსიამოვნობა არის მღვდლებში, ნაჩალნიკებში, სოფლის მოხელეებში და სამრევლოში ფულზედ გარდაილონ და ერთად სახემწიფო ხარჯთან იკრიბებოდეს, შეჰქონდეთ ხაზინაში და აქედან იღებდნენ მღვდლები. მაშინ კი შეიძლება, რომ სასტიკად ეთხოვებოდეს მღვდელს თავისი თანამდებობის აღსრულება, რადგანაც, რაც დაწესდება ფულად, უკლებლივ აიღებს ხაზინიდგან.

ხალხისთვისაც უკეთესი იქნება ესრეთი დაწესებულება, რადგან ეხლა მდიდარზედ და ღარიბზედ ერთ ნაირად არის დაწესებული, მაშინ კი, როდესაც მოწერილი იქნება ამა და ამ სოფლიდან ამდენი და ამდენი უნდა აიკრიბოსო, შეძლების და გვარად გაეწერენ, შეძლებულს მეტს შეაწერენ, ღარიბს ცოტას, ქვრივს და ობოლს არაფერს,—ეხლა კი ღარიბებს უფრო ძალას ატანენ და მდიდარს სულაც არ ართმევენ.

ვინმე.

წერილები რედაქტორთან.

—

ბ. რედაქტორო! ზუშინდელს „დროების“ დღიურში დაბეჭდილია, რომ სურამში მცხოვრებ ორჯონიკიძეების ოჯახში ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები მოიპოვებაო. ეს ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმ ოჯახებიდამ თუ არავის ასარგებლებენ ყველა ის ამაო იქნება და სამშობლო მწერლობას ისტორიის წინაშეც შეცდომად ჩაითვლება. ამას ვსწერთ-მიტომა რომ ბევრნი არიან ისეთნი პირნი, რომელთაც სახლში ძველი წიგნები მოეპოვებათ ხალხმაც იცი, თუ გაზეთებით და თუ ისე ხმებით და რომ საქმე ჩვენებაზე მივიდეს, მაშინ ფურცელიც აღარ იქმნება.

იმედია რომ ორჯონიკიძეების გვარში თუ მოიპოვება რამე, არას დამალევენ და მით მოგვცემენ ნებასა, რომ ეს წიგნები აღიწეროს:—რა წიგნებია, ვისგანაა დაწერილი, როდისა და რა საგანზე; ეს ცნობები ჩვენი მწერლობის საისტორიო მასალად საკმარის საჭიროებას შეადგენენ.

უნდა ვეღირსნეთ ოდესმე წარსულ საუკუნეთა ჩვენი მწერლობის ისტორიას, თუ არა?

მასალები განა არ მოიძებნება, მაგრამ თუ კი ადამის წლიდამ უჯრებში ექნებათ შენახული, დაალპობენ, როგორ უნდა გამოვაყენოთ?

ფ. ჭიჭინაძე.

ტფილისი 19 აგვისტოს.

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზეთის მე-161 №-ში ბატონი „თელაველი“ თავის სტატიაში „ჩვენი სასულიერო სასწავლებლები“ მეხება, სხვათა შორის, მეც, ამ სიტყვებით: „მმა მისი ქ. თუმცა აქვს სურვილი და მეცადინეობა ასწავლოს მოწაფეებს, მაგრამ თვალი დაუდგა ბედსა(!), რომ ეს არის ავად-მყოფი და მით ვერ მოჰყავს აღსრულებაში თავისი სურვილი.“

აღსადგენელად ჭეშმარიტებისა და განსაფანტავად იმა ცილის წამებისა და ჭორიკანაობისა, რომლითაც ასე ცხადად აღჭურვილა ბატ. „თელაველი“ თავის სტატიაში, გთხოვთ, ბ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ შენიშნვას.

მიბრძანეთ, ბატონო „თელაველო,“ როდის და რამდენჯერ დამიტოვებია გაკვეთილები ავად-მყოფობის ანუ სხვა რომელიმე მიზეზის გამო? რომელი ექიმი, როდის და რამდენი ხანი მწამლობდა მე, ჩემი შვიდი წლის თელავში სამსახურის დროს?

მე ვაძლევ გაკვეთილებს აქაურ ვაჟებისა და ქალებისა სასწავლებელში; უკეთუ მოსწავლენი ამა სასწავლებელთა და მთავრობანი დაგემოწმებიან მაზედ, ბატ. საზოგადოთ საქმის მოჭირნახულევ, რომ თუ ოდესმე ავად-მყოფობის და ანუ სხვა მიზეზის გამო გაკვეთილებს დავკლებოდე არა რამდენჯერმე, არამედ ორჯელ და სამჯერ და ამის გამო ჩემი სურვილი სწავლებისა არ აღმესრულებინოს, მაშინ მომიხრია თითი ნიშნად დანაშაულებისა და მიკისრნია თქვენ მიერვე დანიშნული სასჯელი, მაგრამ თუ კი ეს საჭირო საბუთებით ვერ დამიმტკიცეთ მე თქვენ, მაშინ, როგორ მიბრძანებთ, რა გიწოდოთ მე თქვენ სახელად?....

თქვენ გვიწვევთ მედიატორულ სამართალზედ და თქვენი სახელის და გვარის გამოცხადება და საბუთებით აზრის დამტკიცება-კი დაგვიწყებიათ. ლიტონი სიტყვით, ბატონო, შორს ვერ წახვალთ, უბრალო და ბოროტგანზრახვით ლაპარაკი უგზო-უკვლოდ სიარულია და მიზანს ვერ მიაღწევინებსთ.

თელავის სკოლის მასწავლებელი
ქ. ზარაფოვი.

13-ს მარიამობისთვეს.

რუსეთი

(გაზეთებიდან)

საქალებო კურსების დახურვაზედ მმართებლობის წინადადებამ სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა მთელს რუსეთში. ყველა გაზეთები მწუხარებით იხსენიებენ ამ ამბავს. რუსეთი ისე ღარიბია უმაღლეს სასწავლებლებით, რომ ძნელად დასაჯერებელიაო, მომატების მაგივრად კიდე მოეკლოს მათ რიცხვსო.—გაზ.: „საექიმო მოამბე“ ამბობს სხვათა შორის, რომ ნუ თუ რუსეთის საზოგადოება არ გამოიჩენს საკმაო ძალას და ენერგიას დაეხმაროს ამ ქალების კურსებს და ამით მცირედ მაინც გადაუხადოს რუსეთის ქალებს ის ღვაწლი და ჯაფა, რომელიც ამათ დაჭრილების დახმა-

---

...ლა მეორეს მოსდევს... ისინი თან-
...თან უფრო ხშირდებიან. ადიუტან-
...ები ფანჯარასთან გარბიან და თით-
... უნდათ იპოვონ მიზეზი სიბნელე-
...

—პრუსიელები ხომ არ დაგვეცხ-
...?—ისმის ჩუმი ჩურჩული.

—დიე, დაგვეცხნ!—ყვირის მარ-
...ლი და აგორებს თეთრს ბურთს...
...ლო თქვენი რიგია, კაპიტანო!

...ტაბი ღრტაცებაშია. მარშალი და-
...რებული, მშვიდად თამაშობს, იე-
...თ მიდი სეხლა მოწინააღმდეგე-
...

...აურობა მატულობს. ზარბაზნის
... მიემატა თოფის ზრიალი. ბალის
...ლოეთ მოედო წითელი და შავი
...; მთელი ბაღი რაღაც ჯოჯო-
...ის ცეცხლით არის განათებული.
...ელებმა ყაყანი შეჰქნეს. ცხენებ-
...გრძნეს თოფის წამლის სული, და
...ეს საბმურებიდან; მთავარი მხე-
...ის სადგური გამოდის თავის სიმ-
...დიდგან; დეპეშა დეპეშაზედ მოდის,
...ებული შიკრიკები მორბიან ეს-
...ებებით.

თხოულობენ მარშალს, მაგრამ ის შეურყეველია.

მე წინადვე ვსთქვი, რომ იმის მოშორება შეუძლებელიდა იყო, რაკი იწყებდა ბილიარდის თამაშს.

— თქვენი რიგია, კაპიტანო!

მაგრამ კაპიტანი გაბრუებულია. აი რა არის სიყმაწვილე! ამან სრულიად დაჰკარგა გონება, ივიწყებს თავის რიგს, მაგრამ მისგან შეუნიშნავად, რამდენჯერმე ისე მარჯვედ გააგორა, რომ თითქმის მოგება ამისია.

მარშალი, მოთმინებიდგან გამოდის სიბრაზით. იმის პირი-სახე დამახინჯებულია სიანჩხლით. ამ წუთში მოფრინდა ადიუტანტი, მთლად ტალახში ამოსვრილი. ერთს წამში ამოხტა ეს კარებზედ, მცველის დაუკითხავად.

— მარშალი! სად არის მარშალი!?

შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ როგორ მიიღო ის მარშალმა. გაბრაზებული, ბილიარდის ჯოხით ხელში, მარშალი მივიდა ფანჯარასთან.

— რა მოხდა? აქ განა არ არის კარის მცველი?

— მარშალო...

— კარგი... ამ საათში... მოუცადეთ ჩემ ბძანებას... რასა ჰგავს ეს უწესობა!..

და ფანჯარა მიეჯახუნა.

მოუცადეთ ამის ბძანებას! განა ცოტა ხანია, რაც ამას უცდიან ის უბედურნი. მარი ესვრით იმათ პირში წვიმას და ტყვიას. მთელი ბატალიონები დამარცხდნენ, დანარჩენნი უძრავად სდგანან და არ იციან, თუ რას უცდიან. მაგრამ... რაღა ღონე მეტი: უნდა უცადონ ბძანებას. სიკვდილი კია უბძანებოდაც შეიძლება.—ა ხალხი, გაჩუმებული, სასახლის წინ იხოცებიან ათობით, ასობით და ცვივიან ბუჩქებში და ხევებში... დაცემულ მკვდრებსაც კი ჰგლეჯს და ჰფლეთს ტყვია და გულადი ფრანცუზების ჭრილობიდან გადმოსჩქრიალებს წითელი წყარო.

იქ, ბილიარდის ზალაშიაც საშინელი ბრძოლაა: ბრძოლა სიკვდილზე და სიცოცხლეზე; მარშალი სჯობნის, მაგრამ კაპიტანიც ლომივით იბრძვის.

— ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი!..

ომი გრძელდება. მარშალს დარჩა მხოლოდ ერთი უკანასკნელი სროლა. ტყვია ბაღში გადმოდის კიდეც; ერთი ამათგანი დეეცა ტბაზედ და შეარყია, ამის სარკეს გვარი პირი. ეს უკანასკნელი სროლა იყო...

შემდეგ დადგა სრული დუმილი... მოისმის მხოლოდ წვიმის შხაპუნი და გორების იქიდგან უფრო-და-უფრო გაშორებული ხმაურობა, ცხენების ფეხის ხმა და რაღაც გრიალი, რომელიც კაცს გაქცეულის ნახირის ფეხის ხმას მოაგონებს.

ეს მთელი ჯარი გახლავთ დამარცხებული და გაქცეული სამარცხვინოდ.

მარშალმა მოიგო ბილიარდზე.

მგ. გაბაშვილისა.

რებაში გასწიეს გასულ ომიანობის დროსაო.

—

მდგომარე წლის ენკენისთვეში შესრულდება ასი წელი, რაც რუსეთში დაარსდა კავალერის ორდენი წმ. ვლადიმირისა. რუსეთში სულ 30,000 კავალერი ითვლება ამ ორდენისა. ერთ ამ კავალერთაგანის წინადადებაა, რომ ამ ორდენის დაწესების სახსოვრად დაარსდეს სტიპენდია ყველა ზემოხსენებულ კავალერების შემოწირვისაგან და რამოდენიმე ღარიბ-ლატაკთა შვილები აღიზარდოსო.

—

გაზ.: „Новости"-ს სიტყვით უმაღლეს სამმართველოში წინადადებაა მოისპოსო ზოგიერთი ორდენები და ნიშნები.

—

რუსეთის ქალაქ ტულის მომრიგებელ მოსამართლეს მიუღია თხოვნა ერთის სახლის პატრონისაგან შემდეგს საგანზედ. დილა ადრიან სახლის პატრონს ბაღში ხეზედ დაუნახავს, რომ მისი ქათამი ვიღაც უცნობ ბოროტმოქმედთ ჩამოუღრჩვიათ ხეზედ. სახლის პატრონი ამ დანაშაულობაში ბრალსა სდებს თავის მეზობელს და ითხოვს სასამართლოსაგან, რომ კანონის ძალით სასტიკად მოეპყრან ამ დამნაშავეს. მომრიგებელი მოსამართლე უბრუნებს სახლის პატრონს ამ თხოვნას იმ მიზეზით, რომ ეს საქმე სისხლის სამართალს ეკუთვნის და ამ რიგადაც იძიეთო.

თფილისის სამკურნალო

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავადმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავადმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სუსტის ავადმყოფობისა.

განცხადებანი

მოსეს ვართანიანცის
სტამბაში

მიღებულია ახალი რუსული, სომხური და ბევრი სხვა ენების შრიფტიც. სხვათა შორის მიღებულია
ქართული შრიფტიც.

მიიღება ყოველ გვარი შეკვეთა—ბეჭდვა წიგნებისა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვ. (5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება

ყარამანიანი

მეთხუთმეტე ნაწილი

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქოვის სტამბაში ბატონ ნიკოლოზ კობალაძესთან.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ
ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ
Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

Цѣна за полгода 6 руб.

Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакскаа улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (6—5)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **ისყიდება:** პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—99)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
სახსოვარი
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
მოთხრობანი
წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
მწყემსის სტვირი
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ადაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—8)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში
იგავ-არაკნი
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქმნილი თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ტაქსის

საგზებაზ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1გირ.	—
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	6 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	4½
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	8 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	— კ.
მეორის „	—1 გირ.	— კ.

გამოვიდა ცალკე წიგნათ
დრამა
სამშობლო!
· ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—16)

მაქვს პატივი გამოვუცხადო საზოგადოებას, რომ
მომივიდა ბაქოდგან ნავთი,
რომელსაც გავყიდი არა ნაკლებ ერთის ბოჩკისა. კანტორა იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე № 42, ჩემს საკუთარს სახლში. აგრეთვე მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ დვორცოვის ქუჩაზედ შტაბის პირდაპირ მერაბოვის მაღაზიაში. ფასი იქმნება ჩვეულებრივ ერთ ნაირი. გასყიდვა იწყობა დილის 8 საათზედ პირველ საათამდე. პირველს სეკტემბრიდამ მექნება სკლადები: ალდამას, ელისავეტოპოლში, აქსტაფაში, მიხაილოვკას, ქუთაისს და ფოთს.
(10—3) გიორგი დავითის-ძე ქართველოვი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Августа 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი